საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/69 " 18 " ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ი. ბონდარენკოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 16 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის ირაკლი ბონდარენკოს განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 18 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაციები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 11 მოსამართლე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს ირაკლი ბონდარენკოს კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ მას აქვს მენეჯერად მუშაობისათვის აუცილებელი თვისებები, აქვს კარგი რეპუტაცია და მოკლე ხანში რაც ის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მუშობს მასა და მოსამართლეებს, ასევე სასამართლოს აპარატს შორის ჩამოყალიბდა ჯანსაღი საქმიანი ურთიერთობა. ირაკლი ბონდარენკოს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, მათ შორის - მენეჯერად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ირაკლი ბონდარენკოს დანიშვნის შესახებ მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 25 ივლისიდან:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ბონდარენკო დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ი. ბონდარენკოსათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 23 მარტის №1/30 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე